ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება “ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ბექარ კილასონია

წევრები:

ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402019917**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 4 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ტვირთების ექსპედირება“** პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შეფასების მიზნით. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან და იმის შეფასება, რამდენად გააჩნია დაწესებულებას გაზრდილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილიქნა პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასებას.

შეფასების პროცესში განხილულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, სამუშაო დატვირთვა და გაზრდილი კონტინგენტის პირობებში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობა. შეფასდა სასწავლო პროცესის ორგანიზების პრაქტიკა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და შესაბამის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიდგომები. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო გარემოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების დათვალიერება. დამატებით შეფასდა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული სწავლების გარემო და შესაბამისი პრაქტიკის ობიექტების მზაობა გაზრდილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღებისა და ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად.

ვიზიტი განხორციელდა საქმიან, პროფესიულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, ობიექტურად, სრულყოფილად და კომპლექსურად შეგვეფასებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილი გარემო და მისი შესაბამისობა გაზრდილი კონტინგენტის მიღებისა და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ტვირთების ექსპედირება	70	50	8	4

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	140 100 - არაინტეგრირებული 40 - ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	არაინტეგრირებული - 46 ინტეგრირებული - 4
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	140 100 - არაინტეგრირებული 40 - ინტეგრირებული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....
.....
.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზსა და დამფუძნებლის - სს „საქართველოს რკინიგზის“ საკადრო საჭიროებებს. არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების შეფასების საფუძველზე განისაზღვრა, რომ პროგრამისთვის დამტკიცებული 140-ადგილიანი კვოტიდან 40 ადგილი გამოყენებულ იქნეს იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას განახორციელებენ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 19 თვეს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 24 თვეს. პროგრამის იმ ვერსიის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის განისაზღვრება 22 თვით, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 27 თვით.

დაწესებულების განმარტებით, ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ყოველწლიურად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტის რაოდენობით. აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო რესურსების, ასევე პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სს „საქართველოს რკინიგზასთან“ და სს „გუდვილთან“. წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესაბამისად, თითოეულ პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. აღნიშნული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ ფარგლებში განსაზღვრული ოთხი პროფესიული მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებასა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. ხელშეკრულებები მოქმედებს პროგრამის ავტორიზაციის ვადის განმავლობაში და ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტების ვალდებულებას, უზრუნველყონ სასწავლო პროცესი შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა დაშვება საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან და პრაქტიკის დასრულების შემდეგ შესაბამისი დოკუმენტაციის, მათ შორის პრაქტიკის დღიურის, დამოწმებული სახით გაცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები. A გარემოსთვის გამოყოფილია აუდიტორიები №407, №307 და №501, ხოლო B გარემოსთვის - აუდიტორიები №401, №304 და №408. ყველა სასწავლო სივრცე უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული და საპრეზენტაციო ტექნიკით, ინტერნეტითა და სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი სხვა რესურსებით.

ABC გარემოსთვის გამოყოფილია ინტეგრირებული აუდიტორია №106, რომელიც მოიცავს A, B და C გარემოებისათვის განკუთვნილ დამოუკიდებელ სასწავლო სივრცეებს და ერთდროულად სამი ჯგუფის მიღების შესაძლებლობას იძლევა. თითოეული სივრცე აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული ინვენტარითა და აღჭურვილობით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სპეციალიზებული ლოგისტიკური პროგრამა „Software Carlo“, რომლის ლიცენზია გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტსა და ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელზე. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა კოლეჯს გადაცემული აქვს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ.

დაწესებულებას ასევე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე და აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები კოლეჯის მფლობელობაშია. სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები ადასტურებს ისეთი სპეციალიზებული აღჭურვილობის ფლობას, როგორიცაა პალეტის ხელის ჰიდრავლიკური ურიკა, ჰიდრავლიკური ტვირთამწე, შტრიხკოდის აპარატი, პლატფორმული სასწორი, პლომბინატორი, ევრო პალეტები, სხვადასხვა ზომის კონტეინერები, ყუთები, კასრები და სხვა პროფესიული სწავლებისათვის აუცილებელი ინვენტარი, რომლებიც დაწესებულებას უსასყიდლოდ გადაეცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ.

მოდულის „სპორტი“ განხორციელების მიზნით დაწესებულებას შერჩეული აქვს მაგიდის ჩოგბურთი და ლაშქრობა/სპორტული ორიენტირება. კოლეჯის მიერ შესყიდულია მოდულის განხორციელებისთვის აუცილებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტული ინვენტარი და გამოყოფილია შესაბამისი სასწავლო სივრცე, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის სრულფასოვან განხორციელებას.

შესწავლილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი, ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და ორგანიზაციული შესაძლებლობები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“, მათ შორის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, კოლეჯში მოქმედი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, რაც დამატებით უზრუნველყოფს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და მოთხოვნილი კონტინგენტის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელებაში ჩართულია 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 - პროფესიულ მოდულებს ახორციელებს, 15- ზოგად მოდულებს, ხოლო 14 - ინტეგრირებულ მოდულებს. წარმოდგენილი ადამიანური რესურსის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული პერსონალი რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის დაგეგმვასა და მართვას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვების განაწილების გეგმას. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდეს 40 საათს და სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ამასთან, დირექტორის 2022 წლის 22 ივლისის №102 ბრძანებით განსაზღვრულია, რომ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომლებს უფლება აქვთ შეითავსონ პედაგოგიური საქმიანობა სასწავლო/სამუშაო კვირის განმავლობაში არაუმეტეს 20 საათის ოდენობით. აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ოპტიმალურ განაწილებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შენარჩუნებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსი საკმარისია როგორც არსებული, ისე ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კონტინგენტის მომსახურებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებს. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროფესიულ გამოცდილებასა და იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგების მიღწევის, პროფესიული სტუდენტების სწავლებისა და მათი შეფასების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომებით, სერტიფიკატებითა და პროფესიული საქმიანობის გამოცდილებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ, სადაც მითითებულია თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი, მისი კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება, რაც ადასტურებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შერჩევის პროცესის შესაბამისობას პროგრამის მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში. მათ გავლილი აქვთ როგორც სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, ასევე კოლეჯისა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული პროფესიული განვითარების ღონისძიებები, როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ ფორმატში.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ტვირთების ექსპედირებას“ ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები (სულ 2 პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი უძღვება ზოგად და პროფესიულ მოდულებს, ხოლო მეორე ინტეგრირებულ მოდულებს), რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელი პარალელურად დარგის მოქმედი პრაქტიკოსია. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი:

- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
- წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროგრამის რევიზიას და წარადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის;
- მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;
- მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;
- ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;
- მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობენ პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებენ მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის №35 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომის მექანიზმებს. აღნიშნული წესის შესაბამისად, ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ხოლო საბიბლიოთეკო მომსახურებით სარგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ბიბლიოთეკაში რეგისტრაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა და შეაფასა როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირებას“, მათ შორის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და უზრუნველყოფს მომხმარებელთა წვდომას საბიბლიოთეკო ფონდსა და ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებზე. ელექტრონული მასალები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერულ სისტემაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ამასთანავე, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამა OpenBiblio, რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის ეფექტიან მართვასა და აღრიცხვას. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ხოლო მათი გამოყენების აღრიცხვას ახორციელებს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში იწარმოება მკითხველთა ბარათები და საბიბლიოთეკო სარგებლობის აღრიცხვა, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო რესურსების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია სასწავლო და საინფორმაციო რესურსებზე ეფექტიანი წვდომისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული სამი სამაგიდო კომპიუტერი მომხმარებლებისათვის, ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, მრავალფუნქციური საოფისე მოწყობილობა (პრინტერი/სკანერი), ლამინირების აპარატი და დოკუმენტების აკინძვის მოწყობილობა.

ამასთან, კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს წვდომა სხვადასხვა ელექტრონულ საინფორმაციო წყაროზე, მათ შორის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ელექტრონულ პლატფორმაზე, რაც დამატებით ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმაციულ მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლილი დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსები, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ტვირთების ექსპედირებას" ხარისხიან განხორციელებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად:

დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას მარეგულირებელ მექანიზმებში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის, სსსმ პირთა ინტეგირების, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობის პროცესი, ასევე, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. კოლეჯს ამ დრომდე არ ჰქონია სსსმ პირისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, თუმცა არსებული რეგულაცია, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ასეთი გეგმის შედგენას.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტში დეტალურადაა გაწერილი პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მასალებისა და ნედლეულის უზრუნველყოფის, ადმინისტრირების, ასევე საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

წარმოდგენილი ფინანსური გათვლების თანახმად, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 10 პროფესიული სტუდენტი, რაც მიუთითებს პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და ეფექტიანი ფუნქციონირების შესაძლებლობაზე.

ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსები, დაფინანსების წყაროების სტაბილურობა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი პოლიტიკა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ უწყვეტ, ხარისხიან და მდგრად განხორციელებას, მათ შორის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების პირობებშიც.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები;
- ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების სამოქმედო გეგა 2024;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ საპროგნოზო ბიუჯეტი;
- მატერიალური რესურსი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, შესყიდვის, მიღება-ჩაბარების დკუმენტაცია.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ცხრილები;
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი

30.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: